შპს,,ევროპული სკოლა“

ქართული პროგრამა

გ ზ ა მ კ ვ ლ ე ვ ი

2025-2026 სასწავლო წელი

სარჩევი

ჩვენი მისია .....

ჩვენი ღირებულებები .....

ჩვენ ვიღწვით, რათა.....

ქართული პროგრამა .....

შეფასების სისტემა .....

სასკოლო დისციპლინა და მოსწავლის პასუხისმგებლობა.....

2025-2026 სასწავლო წლის კალენდარი.....

მოსწავლეთა მხარდაჭერის ცენტრი .....

მოსწავლეთა კეთილდღეობის სამსახური ----------

ასისტენტის ინსტიტუტი .....

ბიბლიოთეკა.....

კონფერენციები და ოლიმპიადები .....

მოსწავლეთა წახალისება - გრანტები, მედლები .....

კურსდამთავრებულები და საუნივერსიტეტო განათლების მრჩეველი.....

მოსწავლეთა თვითმმართველი საბჭო და პარლამენტი ----------

მშობელთა და მასწავლებელთა ასოციაცია.....

კლასგარეშე აქტივობები.....

სკოლის დაცვა და უსაფრთხოება .....

ადმინისტრაციულ–მმართველობითი პერსონალი .....

საკონტაქტო ინფორმაცია.....

ჩვენი მისია

“ევროპული სკოლა” მოსწავლეებს სთავაზობს საუკეთესო განათლებას მზრუნველ და აკადემიური გამოწვევებით აღსავსე გარემოში, აძლევს შესაძლებლობას, მიაღწიონ საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმს და გახდნენ ქმედითუნარიანი, საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის მქონე, გლობალური მოქალაქეები.

ჩვენი ღირებულებები

ჩვენი, ღირებულებებზე დაფუძნებული საერთაშორისო განათლება, ეყრდნობა იმ ძირეულ ფასეულობებს, რომლებიც შერწყმულია “ევროპული სკოლის “ყველა აკადემიურ თუ კლასგარეშე ღონისძიებასთან. ჩვენთვის პრიორიტეტულია ის ოთხი ფუნდამენტური ღირებულება, რომელიც ჩვენი საქმიანობის საფუძველია, კერძოდ:

- ინოვაციის გზით სვლა;
- სწრაფვა სრულყოფილებისკენ;
- განვითარება სწავლის საშუალებით;
- გლობალური მოქალაქეობა.

ამ ძირეული ღირებულებებით ჩვენ წავახალისებთ დამოუკიდებლად სწავლას და მოსწავლეებს საშუალებას ვაძლევთ, გაითავისონ პასუხისმგებლობა. “ევროპულ სკოლაში“ სწავლობენ მრავალფეროვანი კულტურის დაფასებას მისი მიღებითა და ტოლერანტობით. ეს მოსწავლეებს ეხმარება, გახდნენ მსოფლიო მოქალაქეები.

ჩვენ ვიღწვით, რათა:

- შევქმნათ ინკლუზიური, მრავალფეროვანი და ინოვაციური სწავლის გარემო;
- განვავითაროთ და გავაძლიეროთ ჩვენი მოსწავლეები ინტელექტუალურად, შემოქმედებითად, სოციალურად, ფიზიკურად და ეთიკურად ქართულ კულტურასთან ჰარმონიაში;
- ყურადღება გავამახვილოთ აკადემიურ სრულყოფილებასა და კეთილსინდისიერებაზე;
- ხელი შევუწყოთ მუდმივად ცოდნის მაძიებლების ჩამოყალიბებას.

ქართული პროგრამა

„ევროპული სკოლის“ ქართული პროგრამის სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას. ჩვენს მოსწავლეებს ვთავაზობთ თანამედროვე სწავლების ინოვაციურ მეთოდებს, რომლებიც შემუშავებულია მაღალ კვალიფიციური პედაგოგებისა და სპეციალისტების მიერ ეროვნული და საერთაშორისო პროგრამების შერწყმისა და სტანდარტიზაციის გზით, რაც მიმართულია სწავლების ხარისხის ამაღლებისა და სრულყოფისკენ.

დაწყებითი საფეხური (I-VI კლასები)

დაწყებით საფეხურზე ყურადღებას ვამახვილებთ საგანთა თანამიმდევრული სწავლა-სწავლების გზით მოსწავლის გონებრივი, ფიზიკური, ემოციური და სოციალური განვითარების ხელშეწყობაზე, შემოქმედებითსა და კრიტიკულ აზროვნებაზე; ვიყენებთ სასწავლო გარემოს, რათა წავახალისოთ მოზარდის თანდაყოლილი ცნობისმოყვარეობა. აღნიშნულ პროგრამაში სწავლა მოსწავლეებს სიამოვნებას ანიჭებს. ნებისმიერ საკლასო ოთახში ნათლად იკვეთება უჩვეულო ერთობის შეგრძნება, რომლითაც ასე ვამაყობთ. მასწავლებლები ახალისებენ შესწავლის პროცესს და ცდილობენ, ბავშვებს აგრძნობინონ კეთილგანწყობა. ჩამოუყალიბონ ცოდნისმოყვარეობა, მოამზადონ მოსწავლე საბაზო საფეხურისთვის.
ეროვნულ სასწავლო გეგმას ვამდიდრებთ ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) გაკვეთილებით და უცხოური ენების ადრეული ასაკიდან შესწავლით: ენის პოლიტიკის მიხედვით მოსწავლეები მე-2 კლასიდან ირჩევენ მეორე უცხო ენას შეთავაზებული ჩამონათვალიდან - ფრანგული, გერმანული, ესპანური, რუსული. ჩვენი მოსწავლეები ითვისებენ ICT-ის პრინციპებს და ივითარებენ ინტერესს ტექნოლოგიების მიმართ ლეგოსა და რობოტიქსის გაკვეთილების ფარგლებში, რაც წარმოადგენს STEAM (მეცნიერება, ტექნოლოგიები, ინჟინერია, ხელოვნება, მათემატიკა) განათლების ნაწილს. ბავშვები ადვილად ეუფლებიან ინფორმაციული ეპოქის საშუალებების გამოყენებას, რაც მათ ეხმარება, გაიუმჯობესონ აღქმისა და კომუნიკაციის უნარი. ქართულ პროგრამაში მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ, ჩაერთონ „წიგნიერების“ პროექტში, რომლის ფარგლებშიც მოზარდები წიგნებს სასიამოვნო და კომფორტულ გარემოში კითხულობენ, საუბრობენ სხვადასხვა თემებზე, ერთვებიან როლურ თამაშებში და წერენ თხზულებებს, რათა წიგნიერების საფუძველი შეიქმნან.
საგანმანათლებლო პროგრამები სრულ ჰარმონიზაციაშია დასახულ მიზანთან. სახელმძღვანელოებისა და პროგრამის შერჩევა ემყარება კვლევასა და დიაგნოსტირებას. ქართულ პროგრამაზე გაზიარებულია (PISA და TIMS) მიერ აღიარებული საუკეთესო შედეგების მქონე მოსწავლეთა სწავლების პროგრამები და შეთავაზებულია ჩვენი მოსწავლეებისთვის. მოსწავლეთა სისტემური ხედვის ჩამოყალიბებისთვის დაწყებით კლასებში გაზიარებულია საეთაშორისო ბაკალავრიატის პროგრამის გამოცდილება ინტერდისციპლინურ პროექტებზე მუშაობის სპეციფიკის გათვალისწინებით.

საბაზო საფეხური (VII-X კლასები)

ჩვენი მიზანია, მოსწავლეებში საგანთა სწავლა-სწავლების საფუძველზე მყარი, დინამიკური და ფუნქციური ცოდნის კონსტრუირება, მოსწავლის ინტერესებისა და მიდრეკილებების გამოვლენა, მოსწავლის დამოუკიდებელი სწავლის უნარისა და შრომისუნარიანობის განვითარება, აქტიური

მოქალაქის ფორმირების ხელშეწყობა და საფუძვლების შექმნა განათლების მომდევნო საფეხურზე სწავლის გაგრძელებისთვის ან შრომითი საქმიანობისთვის. აიმაღლონ თავდაჯერება და შეისწავლონ მათ ირგვლივ არსებული სამყარო, ამ მიზნით მოსწავლეებს ვთავაზობთ ქვეყანათმცოდნეობის საგნის შესწავლას გლობალური მოქალაქეობის კონტექსტში. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ჩვენი სკოლის თითოეული წევრის აკადემიურსა თუ სოციალურ განვითარებას. მოსწავლეები მოტივირებულნი არიან, გამოიყენონ ყველა შესაძლებლობა, რათა განივითარონ წარმატებების მისაღწევად საჭირო უნარ-ჩვევები. ჩვენ ვეხმარებით მოსწავლეებს, სკოლაში შეძენილი გამოცდილება ახალი იდეების გენერირების წყაროდ აქციონ, ამ მიზნით 2025-2026 სასწავლო წელს სკოლამ IX-X კლასის მოსწავლეებს სიახლის სახით შესთავაზა შემდეგი საგნები: კომპიუტერული ტექნოლოგიები და სტარტაპი, ინდივიდუალური პროექტები და ციფრული ხელოვნება. მაღალკვალიფიციური მასწავლებლები და

სკოლის თანამშრომლები ხელს უწყობენ მოსწავლეთა ინტელექტუალური, ფიზიკური და ემოციური უნარ-ჩვევების განვითარებას ექსტრაკურიკულარული აქტივობების შეთავაზებით, სხვადასხვა კვლევითი თუ შემოქმედებითი პროექტების ასამბლეებსა, ეროვნულ თუ საერთაშორისო ოლიმპიადებსა და კონფერენციებზე წარდგენის გზით.

„ევროპული სკოლა“ აქტიურად თანამშრომლობს მუზეუმებსა და სხვადასხვა აღმზრდელობით-საგანმანათლებლო ცენტრებთან.

საშუალო საფეხური (XI-XII კლასები)

საშუალო საფეხურზე სკოლა მოსწავლეებს ეხმარება, ჩამოყალიბდნენ თავდაჯერებულ, დამოუკიდებელ, ზრდასრულ ადამიანებად.
ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაფუძნებულ, გამოწვევებით სავსე აკადემიური პროგრამის მეშვეობით ჩვენ ვცდილობთ, მოსწავლეები მოვამზადოთ საქართველოსა თუ ქვეყნის ფარგლებს გარეთ უმაღლესი განათლების მისაღებად.
ჩვენი მასწავლებლები ზრუნავენ არა მხოლოდ მოსწავლის განათლებაზე, არამედ უღვივებენ ინტერესს, უვითარებენ ენთუზიაზმს. ჩვენ ერთობლივად ვზრუნავთ, რომ ყველა მოსწავლემ მიაღწიოს წარმატებას. ვცდილობთ, მოსწავლეებმა მრავალფეროვან კლასგარეშე აქტივობებში მიიღონ მონაწილეობა: კანტის აკადემიაში ორატორობაში გამოსცადონ თავი; მონაწილეობა მიიღონ გაეროსა და ნატოს მოდელირებებში, საერთაშორისო კონფერენციებსა და პროექტებში, ეროვნულ და საერთაშორისო ოლიმპიადებში, მოსწავლეთა შემოქმედებით-სამეცნიერო კონფერენციებში, ინტერდისციპლინურ პროექტებში, მოსწავლეთა ასამბლეებში; დაესწრონ ევროპის ახალგაზრდული პარლამენტის (EYP) სესიებს. ვახერხებთ, მოსწავლეებს ჩამოვუყალიბოთ ლიდერული უნარ-ჩვევები, რაც მათ დაეხმარება მიზნის მიღწევაში.

2024-2025 წელს საშუალო საფეხურის მე-11 და მე-12 კლასის მოსწავლეებს სკოლამ შესთავაზა სიახლე, რაც გრძელდება 2025-2026 სასწავლო წელსაც. ახალი შეთავაზება გულისხმობს მოსწავლის მიერ საკუთარ საჭიროებებსა და ინტერესებზე მორგებული კურიკულუმის შექმნას სავალდებულო და არჩევითი საგნების შერჩევის გზით;

- მოსწავლეს შესაძლებლობა ეძლევა თავად დაგეგმოს საკუთარი კარიერული წინსვლა;
- კონცენტრირდეს სამომავლო გეგმებზე და სრულად შეძლოს საკუთარი პოტენციალის გამოვლენა და განვითარება იმ მიმართულებით, რომელიც დასჭირდება სამომავლო გეგმების რეალიზებისთვის;
- გასათვალისწინებელია უცხოური უნივერსიტეტების გამოცდილებაც. ზოგიერთ უნივერსიტეტს მათემატიკა აქვს სავალდებულო მოთხოვნად. ამდენად, შეთავაზებული იქნება არჩევითი სახით მე- 12 კლასის შემთხვევაში და მოსწავლეს ექნება შესაძლებლობა აირჩიოს ამ ბლოკიდან;
- სავალდებულო საგნებთან ერთად (ქართული, მათემატიკა, უცხო ენა (ინგლისური)და ისტორია), არჩევითი საგნების ბლოკში სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს: საბუნებისმეტყველო საგნებს (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია), ეკონომიკის საფუძვლებს, კომპიუტერულ მეცნიერებებს, სახელმწიფო და სამართალს და სხვა უცხოურ ენებს).

დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება.

სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს როგორც ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ, ასევე დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებას.

დამატებითი მომსახურება ითვალისწინებს სავალდებულო საგნების სტანდარტზევით სწავლებას. აკადემიური გუნდი ევროპულ სკოლაში ქმნის პოზიტიურ და ინკლუზიურ გარემოს, სადაც მოსწავლეები ერთმანეთთან კომუნიკაციის შედეგად სწავლობენ ინგლისური ენის თავისუფლად და თავდაჯერებულად გამოყენებას.

- ინგლისური ენის გაღრმავებული სწავლების პროგრამა მოიცავს I–XII კლასებს;
- მეორე უცხო ენის სწავლება (II - XII კლასები);
- გერმანული/ფრანგული/რუსული/ესპანური ენა არჩევით II, V კლასიდან;
- რუსული ენა (სავალდებულო) – III, IV,VI, VII კლასებში;
- წიგნიერების საათი (II-III-IV კლასები);
- ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწავლება (I–VIII კლასები), რომელიც მოიცავს პროგრამირების საფუძვლების სწავლებას მოდულების სახით;
- რობოტიქსის სწავლება (I – X კლასები);
- კომპიუტერული ტექნოლოგიები და სტარტაპების სწავლება (IX-X კლასი);
- ქვეყანათმცოდნეობა - VII-IX კლასი;
- ინდივიდუალური პროექტები - X კლასი;
- კინო/თეატრალური ხელოვნება - IX კლასი;
- ციფრული ხელოვნება - IX-X კლასი;
- სააბიტურიენტო მომზადება - ინდივიდუალური კურიკულუმები (XI-XII).

შეფასების სისტემა

სკოლაში მოქმედი მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. მისი მიზანია სწავლა–სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას და მუდმივ მონიტორინგს. სკოლაში შემუშავებული და დამტკიცებულია სასკოლო შეფასების სისტემა და ნიშნების გამოანგარიშებისა და მოსწავლეების აკადემიური მიღწევების აღიარების წესი, რომელიც აგებულია ეროვნული სასწავლო გეგმის, საერთაშორისო ბაკალავრიატისა და ამერიკული პროგრამის მოთხოვნათა საფუძველზე.

სკოლაში მოქმედებს მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების სისტემა, რომელიც პერიოდულად გამოიყენება გაკვეთილებზე, განსაკუთრებით პრეზენტაციების დროს.

შიდასასკოლო კონტროლის ფარგლებში სემესტრის განმავლობაში ტარდება სასკოლო სადიაგნოსტიკო წერები სხვადასხვა საგანში.

შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა და გამოყენებულია შეფასების შემდეგი საშუალებები: კითხვარი, ურთიერთშეფასების და თვითშეფასების რუბრიკა, ზეპირი და წერილობითი კომენტარი.

შეფასების რუბრიკები ხელმისაწვდომია და ცნობილია თითოეული მოსწავლისა და მშობლისთვის, შედეგების მუდმივი მონიტორინგი ემსახურება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებას.

სკოლის წესდებით და სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია აკადემიური წარმატებისა და სასკოლო ცხოვრებაში აქტიური მოსწავლეების წახალისების საკითხები.

დანერგილია მშობელთა ინფორმირების ეფექტური ფორმები: ელექტრონული ფოსტა, სკოლის ვებგვერდი, ინდივიდუალური შეხვედრები, მშობელთა კრებები, ღია კარის დღეები, საგნობრივი კვირეულები.

სკოლაში მოქმედებს ელექტრონული ჟურნალი. მასში ყოველდღიურად ხდება ჩატარებული გაკვეთილის შედეგების ასახვა: მოსწავლის წარმატებების შეფასება, მასწავლებლის განმავითარებელი კომენტარები და საშინაო დავალებები. ელექტრონული ჟურნალი ღიაა მოსწავლეებისა და მშობლებისთვის. მშობლებს აქვთ საშუალება ყოველდღიურად ნახონ მათი შვილების სწავლის პროცესის შედეგები და მიიღონ შესაბამისი რეკომენდაციები. მშობლებისთვის ინფორმაციის მიწოდება კონფიდენციალურია.

პერიოდულად ტარდება მშობელთა კრებები. ინდივიდუალურ შეხვედრებზე მშობლებს მიეწოდებათ ინფორმაცია შვილების მიღწევების შესახებ.

სასკოლო ცხოვრებაში მშობლების აქტიურ ჩართულობას უზრუნველყოფს მშობელთა მოსაზრების შესწავლა ანონიმური კითხვარების საშუალებით.

იხილეთ ბმული „შეფასების პოლიტიკა“

სკოლის ადამიანური რესურსების რეკრუტინგი და პროფესიული განვითარება

სკოლაში დასაქმებული ადამიანური კაპიტალი ემსახურება მოსწავლეთათვის ხარისხიანი განათლების მიწოდებას. სკოლას შემუშავებული აქვს საჭირო ადამიანური რესურსის განსაზღვრისა და პროფესიული განვითარების წესი.

ხარისხის უზრუნველყოფისთვის სკოლა იყენებს დემინგის ციკლს (დაგეგმე -განახორციელე-შეაფასე-განავითარე) და ძირითადი და თანმდევი პროცესების მართვა ეფუძნება სანდო ინფორმაციის დამუშავებასა. ინფორმაციის მოპოვება მიმდინარეობს ტრიანგულაციის პრინციპის (მშობელი, მოსწავლე, თანამშრომელი) დაცვით. გამოყენებულია რაოდენობრივი და თვისობრივი მეთოდები:

- დაკვირვება;
- ფოკუს ჯგუფი;
- ინტერვიურება;
- გამოკითხვა;
- მეორადი მონაცემების დამუშავება;
- და სხვ.

სასკოლო დისციპლინა და მოსწავლის პასუხისმგებლობა

სასკოლო წესები ადგენენ რეგლამენტს:

- მოსწავლეთა გარეგნობა: ერთიანი სასკოლო ფორმა;
- მოსწავლეთა უფლებები და მოვალეობები;
- სკოლაში ქცევის წესები.

მიზანი: ქცევის ერთიანი წესების შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს სწავლა-სწავლებისთვის ფიზიკურად და ემოციურად უსაფრთხო, კეთილგანწყობილ გარემოს და დაიცავს წესრიგს სკოლაში. ზოგადი

მოთხოვნები:

სასკოლო ფორმა:

სასკოლო ფორმა არის სასკოლო ცხოვრების მნიშვნელოვანი ელემენტი, რომელიც სკოლაში ქმნის მეცადინეობისთვის საქმიან ატმოსფეროს, ხელს უწყობს დისციპლინის დაცვას, განაწყობს სასწავლო პროცესისთვის, უვითარებს წესრიგის ჩვევებს. ევროპული სკოლის სასკოლო ფორმა არის ფუნქციური და შეესაბამება საყოველთაოდ მიღებულ საქმიან სტილს.
სკოლაში აკრძალულია მოსწავლის მიერ გრძელი ფრჩხილის, მუქი ფერის ლაქის, დიდი ზომის სამკაულების, მძიმე მაკიაჟის ტარება. ამასთან, მოსწავლე ვალდებულია სასკოლო ფორმა მოირგოს დადგენილი წესის შესაბამისად, იმგვარად, რომ დაცული იქნეს საქმიანი სტილი, კერძოდ, შარვლისა და ქვედაბოლოს სიგრძეები არ უნდა იყოს დადგენილ სტანდარტზე (შარვალი - კოჭზე, ქვედაბოლო - მუხლზე) ნაკლები.

✓ ყველა ბავშვს სკოლაში აქვს ინდივიდუალური კარადა, სადაც მას შეუძლია შეინახოს სასწავლო და თავისი პირადი ნივთები. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს მოსწავლე აბარებს კლასის დამრიგებელს გამონთავისუფლებული კარადის გასაღებს.

✓ მოსწავლე იცავს ქცევის წესებს სასკოლო სასადილოსა და კაფეტერიაში, ბიბლიოთეკაში, სპორტულ დარბაზებსა და მოედნებზე, სკოლის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებზე.

მოსწავლის მიერ სკოლის სასკოლო ფორმის ან სასკოლო ფორმის რომელიმე კომპონენტის გარეშე სკოლაში გამოცხადება ჩაითვლება დისციპლინურ გადაცდომად და განხორციელდება შინაგანაწესით გათვალისწინებული შესაბამისი ზომა.

მოსწავლის მიერ სასწავლო პროცესის გაცდენა საპატიოდ მიიჩნევა მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ დამრიგებლის/პროგრამის კოორდინატორის/სკოლის ელ-ფოსტაზე წინასწარი შეტყობინების გაგზანის საფუძველზე, შემდეგი მიზეზების არსებობისას:

- მოსწავლის ავადმყოფობა;
- ექიმთან ვიზიტი (ცნობის წარმოდგენა);
- მეცადინეობის გაცდენა ოჯახური პირობების გამო მშობლის განცხადების საფუძველზე სკოლის

დირექტორთან შეთანხმებით;

- საგნობრივ ოლიმპიადებსა და სხვა საგანმანათლებლო ღონისძიებებში მონაწილეობა.

ავადმყოფობის გამო სასწავლო პროცესის გაცდენის შემთხვევაში, მოსწავლე ვალდებულია ავადმყოფობის პირველივე დღეს აცნობოს კლასის დამრიგებელს და სკოლაში გამოცხადებისას წარმოადგინოს ცნობა ავადმყოფობის შესახებ.

ზემოაღნიშნული საფუძვლით შეტყობინების მიღების შემთხვევაში, დამრიგებელი, სკოლის ოფიციალურ ელ-ფოსტაზე პასუხისმგებელი პირი, ვალდებულია აღნიშნული შეტყობინება დაუყოვნებლივ აცნობოს პროგრამის კოორდინატორს.

შენიშვნა: კონკრეტული საგნისთვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30%-ის და მეტის გაცდენის შემთხვევაში (საპატიო გაცდენების მიუხედავად), მოსწავლე ვალდებულია შესაბამის საგანში ჩააბაროს გამოცდა ექსტერნატის ფორმით, კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამასთან, მოსწავლის მიერ საგნობრივ ოლიმპიადებსა და სხვა ეროვნულ დონეზე სასპორტო - საგანმანათლებლო ღონისძიებებში მონაწილეობის გამო არსებული საპატიო გაცდენები არ მოაზრება გაცდენების 30%-ის გამოანგარიშებისას.

სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისად:

- მოსწავლის გაცდენები აღირიცხება ელექტრონულ ჟურნალში,
- თუ საბაზო-საშუალო საფეხურებზე მოსწავლემ სასწავლო წლის განმავლობაში გააცდინა კონკრეტული საგნისთვის კონკრეტული სასწავლო წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტი, მოსწავლე ფასდება მხოლოდ ექსტერნატის გამოცდის ჩაბარების საფუძველზე.

ელექტრონული ჟურნალის წარმოება ხორციელდება შემდეგი წესის შესაბამისად:

- მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვა ხორციელდება გაკვეთილის დაწყებიდან 10 წუთის განმავლობაში.
- მოსწავლეთა შეფასებისა და განმავითარებელი უკუკავშირის აღრიცხვა ხორციელდება 17:00 საათამდე.
- შემაჯამებელი კომპონენტის შეფასების ჟურნალში შეტანა ხორციელდება შემაჯამებელი კომპონენტის შემაჯამებელი სამუშაოს შესრულებიდან 5 დღის ვადაში სამუშაო დღის ვადაში.
- ელექტრონულ ჟურნალში ტექნიკური ხარვეზის შესწორების მიზნით, 17:00 საათის შემდეგ ჟურნალის გახსნა და შესაბამისი ცვლილებ(ებ)ის შეტანა შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ მასწავლებლის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე.

მოსწავლეთა გამოუცხადებლობის მონიტორინგი:

მოსწავლეთა გამოუცხადებლობის მონიტორინგს ახორციელებს პროგრამის შესაბამისი საფეხურის კოორდინატორი. რომელიც მონიტორინგის შედეგებს ყოველი კვირის ბოლოს აცნობებს პროგრამის ხელმძღვანელს.

- პროგრამის კოორდინატორის მიერ მოსწავლის გამოუცხადებლობის ისეთი ფაქტის დაფიქსირებისას, რომელზეც არ არის შეტყობინება მიღებული დადგენილი წესის შესაბამისად, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს.

- არასაპატიო გამოუცხადებლობის ფაქტის დადგენის შემთხვევაში, კოორდინატორი ვალდებულია პროგრამის ხელმძღვანელთან წარადგინოს შესაბამისი სამსახურეობრივი ბარათი მოსწავლისათვის შესაბამისი დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე.

მოსწავლის გაკვეთილიდან დროებით დათხოვნა:

- მოსწავლის გაკვეთილიდან დროებით დათხოვნა შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ „გაშვების ბარათის“ გაცემის საფუძველზე.
- ერთდროულად შესაძლებელია განხორციელდეს არაუმეტეს ორი მოწავლის გაკვეთილიდან დროებით დათხოვნა.

მოსწავლის მიერ სასკოლო დისციპლინის დარღვევას წარმოადგენს:

- დაგვიანება გაკვეთილებზე, სასკოლო ღონისძიებებზე;

- უნებართვო წასვლა სკოლიდან სასწავლო პროცესის მსვლელობის დროს;
- არასაპატიო მიზეზით სასწავლო პროცესის გაცდენა;
- სკოლის ფორმის გარეშე სასწავლო პროცესზე გამოცხადება;
- მობილური ტელეფონების, ელექტრონული თამაშების და სხვა მოწყობილობების გამოყენება სასწავლო პროცესის პერიოდში;
- სასკოლო კომპიუტერების გამოყენების წესის დარღვევა.
- სხვა პირების და სასკოლო ინვენტარის დაზიანება;
- სასკოლო საზოგადოებისა და სკოლის სტუმრების ფიზიკური ან/და სიტყვიერი შეურაცხყოფა;
- აკრძალული ნივთების მოტანა სკოლაში (იარაღი, ასაფეთქებელი საშუალებები და სხვა);
- სკოლისა და ცალკეული პიროვნებების შესახებ შეურაცხმყოფელი მასალების გავრცელება;
- უარი სავალდებულო საზოგადოებრივ – სასარგებლო ღონისძიებებში მონაწილეობის მიღებაზე.
- რელიგიური პროპაგანდა;
- სიგარეტის, ალკოგოლური, ნარკოტიკული საშუალებების გამოყენებისადმი მიდრეკილება;
- ქურდობა, სხვისი ნივთების უნებართვო გამოყენება;

ნიშნების, სხვა ჩანაწერების ჩასწორება–გაყალბება, საგამოცდო მასალების უკანონო მოპოვება – გამოყენება (პლაგიატი)

მოსწავლის მიერ ჩადენილ მძიმე დისციპლინურ გადაცდენად მიიჩნევა:

- ძალადობა ან მუქარა, ბულინგი, რასობრივი ჩაგვრა ან დისკრიმინაცია;
- ვანდალიზმი;
- სკოლის ტერიტორიაზე თამბაქოს/თამბაქოს ნაწარმის (მათ შორის, ელექტრო სიგარეტის) მოხმარება ან/და გავრცელება;
- ალკოჰოლის ან/და ნარკოტიკული ნივთიერებების მიღება;
- ცრუ სახანძრო განგაშის ჩართვა;
- სკოლაში იარაღის მიტანა.

მოსწავლის მიერ სკოლის მიერ დადგენილი მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, შესაძლებელია მის მიმართ გამოყენებულ იქნეს დისციპლინური სახდელის შემდეგი სახეები:

ა) შენიშვნა;
ბ) გაფრთხილება;

გ) მკაცრი გაფრთხილება; დ)

საყვედური;

ე) ზიანის ანაზღაურება;

ვ) გაკვეთილების შემდეგ სკოლაში დატოვება ან/და სკოლისათვის სასარგებლო საქმიანობის

დაკისრება;

ზ) სკოლიდან დროებით დათხოვნა;

თ) არასასკოლო აქტივობებში მონაწილეობის უფლების შეჩერება;
ი) სკოლიდან გარიცხვა (საშუალო საფეხურის მოსწავლის შემთხვევაში).

სკოლის ადმინისტრაციის მიერ ყოველი კვირის ბოლოს წარმოებს განხორციელებული დისციპლინური წარმოების შესახებ მონაცემების შეფასება, რაც აისახება მოსწავლის ყოველკვირეულ რეიტინგში.

შპს ,,ევროპული სკოლა“ 2025-2026 სასწავლო წლის კალენდარი

2025 – 2026 სასწავლო წლის დაწყებისა და დამთავრების თარიღები -

1-ლი სემესტრის დაწყება - დამთავრება: 15.09.2025 - 29.12.2025

მე - 2 სემესტრის დაწყება - დამთავრება: 15.01.2026 – 19.06.2026

ზამთრის არდადეგები: 30.12.2025 - 14.01.2026
საგაზაფხული არდადეგები: 02.03.2026 - 06.03.2026

სადღესასწაულო დღეები:

14 ოქტომბერი - მცხეთობა(სვეტიცხოვლობა)
23 ნოემბერი -გიორგობა

1-2იანვარი - ახალი წლის სადღესასწაულო დღეები
7 იანვარი - ქრისტეს შობა
19 იანვარი - ნათლისღება

3 მარტი - დედის დღე

8 მარტი - ქალთა საერთაშორისო დღე
9 აპრილი - საქართველოს ეროვნული ერთიანობის დღე

9-13 აპრილი - სააღდგომო დღეები

9 მაისი - ფაშიზმზე გამარჯვების დღე

12 მაისი - წმინდა ანდრია მოციქულის ხსენების დღე

26 მაისი - საქართველოს დამოუკიდებლობის დღე

მოსწავლეთა მხარდაჭერის ცენტრი

მოსწავლეთა ფიზიკური და ფსიქოლოგიური განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ევროპულ სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა მხარდაჭერის ცენტრი. მოსწავლეთა მხარდაჭერის ცენტრი, მოწოდებულია, მოზარდებმა შეიძინონ სოციალური წარმატებისა და თვითრეალიზაციისთვის საჭირო ცოდნა და უნარები, რათა შეძლონ სწავლა, მუშაობა ნებისმიერ საზოგადოებაში.
მოსწავლეთა მხარდაჭერის ცენტრი აერთიანებს სწავლის ხელშემწყობ პროგრამას, ინგლისური ენის გაუმჯობესების პროგრამას, გაწაფული კითხვისა და მათემატიკის რემედიაციის პროგრამას.

სწავლის ხელშეწყობა: საგნობრივი დახმარების პროგრამა

ევროპულ სკოლაში ფუნქციონირებს დამატებითი საგნობრივი მეცადინეობების სისტემა, რომელიც სწავლის ხელშეწყობის კიდევ ერთი საშუალებაა.

საგნის მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელთან შეთანხმებით ავსებენ მოსწავლეთა ხელშეწყობის ცენტრის მიერ შექმნილ ფორმებს, რათა დადგინდეს საგანი და მოსწავლე, რომელსაც ესაჭიროება დახმარება მოცემულ ეტაპზე. ამ ინფორმაციის საფუძველზე მუშავდება დამატებითი საგნობრივი მეცადინეოობების გრაფიკი კლასებისა და ინდივიდულური მოსწავლეთათვის.

დამატებით მეცადინეობებს მონიტორინგს უწევს მოსწავლეთა მხარდაჭერის ცენტრის ხელმძღვანელი პროგრამის კოორდინატორებთან თანამშრომლობით.

სკოლაში მოქმედებს ინგლისური ენის გაუმჯობესების პროგრამა
შემუშავებულია საერთაშორისო პროგრამის მოსწავლეთათვის, რომელთაც ინგლისური ენის მწირი ცოდნა გააჩნიათ, რის გამო სირთულეები ექმნებათ სხვა საგნების სწავლაშიც; ქართული პროგრამის დაწყებითი კლასების მოსწავლეებს პროგრამის შესაბამისად უტარდებათ დამატებითი მეცადინეობები კითხვის, ზეპირმეტყველების, წაკითხულისა და მოსმენილის გააზრების უნარების გასაუმჯობესებლად.
ინგლისური ენის გაუმჯობესების პროგრამის ფარგლებში მეცადინეობა ტარდება კვირაში ორჯერ, ინდივიდუალურად ან მცირე ჯგუფებში, სკოლის საათებში ადაპტირებული გაკვეთილების სახით.

რემედიაციის პროგრამა დაწყებით საფეხურზე
რემედიაციის პროგრამა წარმოადგენს ჩვენი სკოლის მხარდაჭერის მექანიზმს იმ მოსწავლეებისთვის, რომლებსაც სჭირდებათ დამატებითი დახმარება საბაზისო აკადემიური უნარების გასაძლიერებლად. პროგრამა ხელმისაწვდომია დაწყებით საფეხურზე და ორიენტირებულია ორ ძირითად საგანზე — ქართულ ენასა და ლიტერატურასა და მათემატიკაზე.

რემედიაციის პროგრამის მიზანია:

- ხელი შეუწყოს მოსწავლეთა ცოდნისა და უნარების ინდივიდუალურ დონეზე განვითარებას;
- აღმოფხვრას სირთულეები, რომლებიც ხელს უშლის მოსწავლეებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გაწაფული კითხვის სწავლების მიზნების მიღწევაში;

- გაზარდოს მოსწავლის მოტივაცია და ჩართულობა სასწავლო პროცესში;
- უზრუნველყოს ინკლუზიური და მხარდამჭერი გარემო თითოეული ბავშვისთვის.

პროგრამის ფარგლებში მეცადინეობები ტარდება კვირაში ორჯერ, მცირე ჯგუფებში, სკოლის საათებში ადაპტირებული გაკვეთილების სახით.

სკოლა მოსწავლეებს დამატებითი სერვისების სახით სთავაზობს სთავაობს სხვადასხვა მომსახურებას: სასწავლო გარემოს გასაძლიერებლად და გასამდიდრებლად სკოლა სხვადასხვა კლასგარეშე აქტივობას სთავაზობს იმ მოსწავლეებს, რომლებსაც აქვთ სიახლეების დაუფლების სურვილი. ინდივიდუალური თუ ჯგუფური სპორტის სახეობები, ცეკვები, ხელოვნების, უცხოური ენების, რობოტიქსისა და პროგრამირების წრეები – ამ კლუბებში აქტივობები განსხვავებულია მოსწავლეთა ასაკის გათვალისწინებით და დამოკიდებულია მოზარდთა ინტერესებზე.

კლუბებს ხელმძღვანელობენ პროფესიონალი მწვრთნელები და პედაგოგები. ინფორმაცია კლუბების ჩამონათვალის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ სკოლის საიტზე, მითითებულ ბმულზე: https://europeanschool.ge/klubebi/

კლუბების შესახებ დამატებითი კითხვების შემთხვევაში დაგვიკავშირდით აღნიშნულ მეილზე
schoolclubs@europeanschool.ge

ტრანსპორტის საკითხებთან დაკავშირებული შეკითხვებით გთხოვთ, მიმართოთ ტრანსპორტის განყოფილებას ელ.ფოსტის შემდეგ მისამართზე: schoolbus@europeanschool.ge

ან დარეკოთ მიმღებში ტელეფონის ნომერზე:
(+995 32) 2 39 59 64

თუ ჯერ არ ხართ დარეგისტრირებული, სკოლის ტრანსპორტით სარგებლობისთვის გთხოვთ, შეავსოთ განაცხადის ფორმა: https://shorturl.at/bF5XP

https://europeanschool.ge/skolis-transporti/

მოსწავლეთა კეთილდღეობის სამსახური

"ევროპული სკოლის" მოსწავლეთა კეთილდღეობაზე ზრუნვის სამსახურის მიზანია მოსწავლეთა უფლებების დაცვა, მათ ფიზიკურ, ფსიქო-ემოციურ მდგომარეობაზე ზრუნვა და გარემო პირობებთან ადაპტაციაში ხელშეწყობა, რათა მათ შეძლონ თავიანთი შესაძლებლობების მაქსიმალურად რეალიზება.
სამსახური აერთიანებს: ბავშვთა უფლებების დაცვის ოფიცერს, ფსიქოლოგთა გუნდს, ექიმს და ლოგოპედს.

ბავშვთა უფლებების დაცვის ოფიცერი

ფსიქოლოგთა გუნდთან ერთად ბავშვთა უფლებების დაცვის ოფიცერი უზრუნველყოფს:

- სკოლის მთელი საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას ბავშვთა მიმართ ძალადობის თავიდან აცილებისა და პრევენციის მიზნით
- სკოლის პერსონალისა და მშობლებისთვის შესაბამისი ტრენინგებისა და ვორქშოპების ორგანიზებას
- მოსწავლეებში ცნობიერების ამაღლებას მათი უფლებებისა და უსაფრთხოების ზომების დაცვის შესახებ
- ძალადობის ფაქტის გამოვლენას და ასეთი შემთხვევისთვის შემუშავებული პროცედურების დაცვას

ფსიქოლოგიური სამსახური

ევროპული სკოლის ფსიქოლოგიური სამსახური მოწოდებულია უზრუნველყოს სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეთა დაინტერესება და აქტიურად ჩართვა, მათი სასწავლო მოტივაციის გაზრდა, შესაძლებლობების მაქსიმალურად რეალიზება, მოსალოდნელი სირთულეების დროულად გამოვლენა და მათი დაძლევა. აღნიშნულის მისაღწევად ფსიქოლოგიური სამსახური მუშაობას წარმართავს რამდენიმე მიმართულებით:

- კვლევის ჩატარება არსებული სიტუაციის შესწავლის მიზნით და შედეგების ანალიზი;
- სემინარები, ტრენინგები, ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაციები მასწავლებლებისა და მშობლებისთვის;

- განიხილება ჩატარებული კვლევის შედეგები და ფსიქოლოგის რეკომენდაციები.

ლოგოპედიური სამსახური

ლოგოპედიური სამსახური დახმარებას უწევს მეტყველების დეფექტის მქონე მოსწავლეებს.
ლოგოპედიური კაბინეტი აღჭურვილია საჭირო დიდაქტიკური და ტექნიკური მასალით. სამუშაო პროცესში ჩართულია ნოვატორული მეთოდები: ლოგორითმიკა, რელაქსაციური და ფსიქოთერაპიული მეთოდები, ლოგოპედური მასაჟი როგორც სამეტყველო აპარატის, ასევე თითების.
ლოგოპედი დახმარებას უწევს სკოლის მოსწავლეებს, სკოლამდელი აღზრდის ცენტრის

აღსაზრდელებს.

სამედიცინო სამსახური

“ევროპულ სკოლაში“ მოსწავლეთა ჯანმრთელობა პრიორიტეტული საკითხია.
სკოლას გააჩნია პირველადი დახმარების სათანადოდ აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი. ექიმი მასწავლებლებთან ერთად ხელმძღვანელობს სკოლაში ფიზიკური აღზრდის სწავლებას და მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ ცნობიერების ასამაღლებელ ღონისძიებებს.
ზედამხედველობას უწევს სკოლაში მოსწავლეთა სწორი კვების ორგანიზებასა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას; სისტემატურად ატარებს სანიტარულ-ჰიგიენურ პროფილაქტიკურ სამუშაოებს.

ასისტენტის ინსტიტუტი

ქართული პროგრამის დაწყებით საფეხურზე ასისტენტი აქტიურად თანამშრომლობს კლასის ხელმძღვანელთან და ეხმარება მას ორგანიზაციული, სასწავლო თუ აღმზრდელობითი საკითხების მოგვარებაში.

- დამრიგებლის დახმარებით იგი ეცნობა კლასის სპეციფიკას თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ თავისებურებებსა და საჭიროებებს, კლასის საგნობრივ სასწავლო პროგრამებს;
- აქტიურად არის ჩართული კლასგარეშე აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებაში.
- დამრიგებელთან შეთანხმებით გეგმავას და ატარებს „ასისტენტის საათს“.
- ეხმარება კლასის დამრიგებელს კლასში წამოჭრილი საორგანიზაციო საქმეების მოგვარებაში.
- კლასის დამრიგებელთან შეთანხმებით აწვდის მშობლებს ინფორმაციას კლასში მიმდინარე საორგანიზაციო საკითხების შესახებ;
- ყურადღებას აქცევს მოსწავლეების ქცევას სადილის პერიოდში და თავისუფალი დროის განმავლობაში.
- ყურადღებას აქცევს მოსწავლეების წრეებზე განაწილებას.
- აცილებს თითოეულ მოსწავლეს სკოლის ტრანსპორტამდე ან აბარებს მშობელს;
- თუ მოსწავლე სასწავლო გრაფიკის დასრულებამდე ტოვებს სკოლას, ჟურნალში აფიქსირებს მოსწავლის სკოლიდან გასვლის დროსა და გამყვან პიროვნებას.
- აკვირდება თითოეული მოსწავლის ქცევას და კლასის დამრიგებელთან და სკოლის ფსიქოლოგთან თანამშრომლობით ხელს უწყობს არასასურველი ქცევის პრევენციასა და კორექციას.
- თვალყურს ადევნებს მოსწავლეებს საშინაო დავალებების და სხვა საკლასო თუ კლასგარეშე აქტივობების შესრულებას და, საჭიროების შემთხვევაში, დახმარებას უწევს მათ.

ბიბლიოთეკა

„ევროპული სკოლის“ ბიბლიოთეკა, განთავსებულია სკოლის შენობის ორ კორპუსში და სრული დატვირთვით ემსახურება ქართული და საერთაშორისო პროგრამების მოსწავლეებსა და მასწავლებლებს აკადემიური ცოდნის ამაღლებაში, დამატებითი რესურსების მოძიებასა და არსებულის გამოყენებაში.

საშუალო და მაღალი კლასებისთვის განკუთვნილი ბიბლიოთეკა მდებარეობს სკოლის მესამე (c) კორპუსის მე-5 სართულზე. აღჭურვილია 15 ლეპტოპით , პრინტერით, 1 პერსონალური კომპიუტერით, ინტერაქტიული დაფით, პროექტორით და სხვა საჭირო ტექნიკით. ბიბლიოთეკა დაყოფილია პროექტებზე სამუშაო, კითხვის/მეცადინეობისა და კომპიუტერებისთვის განკუთვნილ სივრცედ. საშუალო და მაღალი საფეხურის ბიბლიოთეკა მოსწავლეებს და მასწავლებლებს სთავაზობს 9000-ზე მეტ ბეჭდურ წიგნს (ქართულ, ინგლისურ, რუსულ, ფრანგულ, გერმანულ ენებზე), აგრეთვე, ელექტრონულ რესურსებსა და წიგნებს.

სკოლის პირველ კორპუსში განთავსებული ბიბლიოთეკა განკუთვნილია ქართული და საერთაშორისო სექტორების 1-5 კლასებისთვის და მორგებულია მათ საჭიროებებზე. ბიბლიოთეკა აღჭურვილია 10 პერსონალური კომპიუტერით და პროექტორით, გამოყოფილია კითხვის სივრცე. ბიბლიოთეკა მოსწავლეებს სთავაზობს 4000-მდე ბეჭდურ ლიტერატურას ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე, ამასთანავე ელექტრონულ წიგნებსა და რესურსებს.

კონფერენციები და ოლიმპიადები

“ევროპული სკოლის“ მოსწავლეები წარმატებით მონაწილეობენ საგნობრივ ოლიმპიადებსა და კონფერენციებში, რაც უდიდეს როლს თამაშობს მათი მოტივაციის ამაღლებაში. ჩვენ მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ, მიიღონ საფუძვლიანი გამოცდილება, განავითარონ უნარები, გააანალიზონ და შეაფასონ შედეგები. კონფერენციები არის საუკეთესო საშუალება კვლევის, საჯარო გამოსვლების, წერის უნარის განვითარებისთვის.
ჩვენი მოსწავლეები ჩართული არიან სხვადასხვა ახალგაზრდულ და აქტიურად მონაწილეობენ არაფორმალური განათლების ორგანიზაციებში, ურთიერთობენ თანატოლებთან და იფართოებენ სამეგობრო წრეს. ასეთ ღონისძიებებში მონაწილეობა ხელს უწყობს მათ პიროვნულ ზრდასა და თავდაჯერებულობის განვითარებას.
გაეროს, ნატოს მოდელირება, ევროპის ახალგაზრდული პარლამენტის კონფერენციები, კანტის აკადემია აფართოებს “ევროპული სკოლის“ მოსწავლეთა ცოდნას გლობალური პრობლემების საკითხებში.

ჩვენი მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ:
ოლიმპიადებში -

- ეროვნული სასწავლო ოლიმპიადა;
- სამოქალაქო განათლების ოლიმპიადა;
- Kings-ის ოლიმპიადა მათემატიკაში, ქართულ და ინგლისურ ენებში;
- WITS- სასკოლო ოლიმპიადა ინგლისურ ენასა და მათემატიკაში;

- SMART ოლიმპიადა მათემატიკაში, ქართულ და ინგლისურ ენებში;
- ITYM – ახალგაზრდა მათემატიკოსთა საერთაშორისო ტურნირი ბულგარეთში;
- ოლიმპიადა “დიდაქტიკა”;
- ოლიმპიადა “ევერესტი“ ;
- ოლიმპიადა ”მათემატიკის დღე”;
- ოლიმპიადა VERITAS;
- ოლიმპიადა“შერლოკი“;
- ოლიმპიადა Genius – International High School Environmental Project.

კონფერენციები და კონკურსები

- მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენცია;
- საერთაშორისო კონკურსი მათემატიკაში“კენგურუ”;
- მოსწავლეთა საერთაშორისო კონფერენცია ”სკოლა ეკოლოგიისთვის” ქ.ბერლინში;
- კულტურულ-საგანმანათლებლო ფესტივალი” ოქროს საწმისი;”
- ლოგიკური თამაშების ლიგა;
- გოეთეს ინსტიტუტისა და გერმანული ენის მასწავლებელთა ასოციაციის კონფერენცია მოსწავლეთათვის;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო პიკნიკი;
- თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტების სკოლის მოსწავლეთა შემეცნებითი კონკურსი.
- ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთობლივი კონკურსი”JUNIOR ATSUHACK”;
- რობოტიკის საერთაშორისო შეჯიბრი /თურქეთი/.

მოსწავლეთა წასახალისება - გრანტები, მედლები

„დავით ბეჟუაშვილის განათლების ფონდმა“, რომელიც ჩვენი სკოლის დიდი ხნის სტრატეგიული პარტნიორია, “ევროპული სკოლის“ მოსწავლეებისთვის დააწესა გრანტი: “The European School Full Bright Scholarship Program”. ყოველი აკადემიური სემესტრის დასასრულს ფონდი განიხილავს სკოლის მიერ წარდგენილ საგრანტო განაცხადებს.

გრანტი დაწესებულია განსაკუთრებული აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეთათვის, რომლებიც გამოირჩევიან არა მხოლოდ აკადემიური მაჩვენებლებით, არამედ, კლასგარეშე საქმიანობით და სამოქალაქო ჩართულობით.

ყოველი სემესტრის ბოლოს გრანტის მინიჭებისას ყურადღება მახვილდება მოსწავლის დამსახურებაზე. საგრანტო განაცხადის წარსადგენად აპლიკანტებისთვის სპეციალურ კრიტერიუმებსა და მოთხოვნებს აწესებს სკოლა.

სკოლის 350–ზე მეტ მოსწავლეს აქვს მიღებული დამფუძნებლის და „დავით ბეჟუაშვილის განათლების ფონდის“ გრანტი.

ეროვნული სასწავლო გეგმისა და სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისად სკოლის წარჩინებული კურსდამთავრებულები დაჯილდოვდნენ ოქროსა და ვერცხლის მედლებით. 2012 წლიდან დღემდე 14 კურსდამთავრებულს გადაეცა ოქროს მედალი, 11 კურსდამთავრებულმა მიიღო ვერცხლის მედალი.

კურსდამთავრებულები და საუნივერსიტეტო განათლების მრჩეველი

სკოლაში შექმნილია საუნივერსიტეტო ორიენტაციის საკითხებში კონსულტაციის სამსახური, რომელიც მოწოდებულია, მოსწავლეებს და მათ მშობლებს შეუწყოს ხელი ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებაში თ სწავლის თაობაზე. ჩვენი მიზანია, დავეხმაროთ მოსწავლეებს შეარჩიონ ისეთი უნივერსიტეტი, რომელიც ერგება მათ ინტერესებს, ამბიციებს, მისწრაფებებს, აზროვნებას, დამოკიდებულებებს, შეესაბამება ოჯახის ფინანსურ ბიუჯეტს, მოსწავლის აკადემიურ მიღწევებს და ლიდერულ პოტენციალს. მოსწავლისთვის რჩევის მიცემისას გათვალისწინებული იქნება მრავალიმოქმედი ფაქტორი, რის საფუძველზეც მოხდება ოპტიმალური საბოლოო გადწყვეტილების მიღება.

მე-9-12 კლასის მოსწავლეთა და მათი მშობლების დახმარება ხდება შემდეგი მიმართულებით:

- მოსწავლეთა წახალისება აკადემიური წარმატებისა და მაღალი სტანდარტების მიღწევაში ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე დაყრდნობით;
- დახმარება კლასგარეშე აქტივობების კუთხით;

ინდივიდუალური შეხვედრები მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან სააპლიკაციო პერიოდის გეგმის შესამუშავებლად;

ჩვენი მიზანია კურსდამთავრებულებმა სწორად აირჩიონ მომავალი პროფესია და დაგეგმონ განათლების მიღების მომდევნო ეტაპი. ამისათვის ჩვენ სკოლაში სხვადასხვა ღონისძიებას მივმართავთ:

- ვიწვევთ სკოლაში მოსწავლეებისთვის საინტერესო ადამიანებს, რომლებიც წარმატებული არიან თავიანთ პროფესიაში;
- ვთანამშრომლობთ სხვადასხვა უნივერსიტეტთან, ვიწვევთ სკოლაში და ვაძლევთ საშუალებას ჩაატარონ საინტერესო პრეზენტაციები, გააცნონ ის დისციპლინები და საგნები, რომლებსაც ამა თუ იმ ფაკულტეტზე ასწავლიან;
- აბიტურიენტებს მუდმივად ვაწვდით ინფორმაციას ღია კარის დღეებსა, თუ სხვა საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების შესახებ, რომლებიც მომავალი სტუდენტებისათვის იმართება უმაღლეს სასწავლებლებში;
- ვთავაზობთ მე-11 - მე-12 კლასელებს ვთავაზობთ არჩევით საგნებს;
- შექმნილი გვაქვს სხვადასხვა საგანში ტესტების ელექტრონული ბაზა;
- საერთაშორისო საუნივერსიტეტო განათლების ორიენტაციის საკითხებში კონსულტაციის სამსახური ზრუნავს, რომ მოსწავლეებმა და მათ მშობლებმა მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილება საზღვარგარეთ სწავლის თაობაზე. ჩვენი მიზანია, დავეხმაროთ მოსწავლეებს შეარჩიონ ისეთი

უნივერსიტეტი, რომელიც ეხმიანება მათ ინტერესებს, ამბიციებს, მისწრაფებებს, აზროვნებას, დამოკიდებულებებს, შეესაბამება ოჯახის ფინანსურ ბიუჯეტს, მოსწავლის აკადემიურ მიღწევებს და ლიდერულ პოტენციალს. მოსწავლისთვის რჩევის მიცემისას გათვალისწინებულია მრავალი მოქმედი ფაქტორი, რის საფუძველზეც მოხდება ოპტიმალური საბოლოო გადწყვეტილების მიღება.

მე-9-12 კლასის მოსწავლეები და მათი მშობლები დახმარებას იღებენ შემდეგი მიმართულებით:

- მოსწავლეთა წახალისება აკადემიური წარმატებისა და მაღალი სტანდარტების მიღწევაში ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე დაყრდნობით;
- დახმარება კლასგარეშე აქტივობების კუთხით;
- ინდივიდუალური შეხვედრები მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან სააპლიკაციო პერიოდის გეგმის

შესამუშავებლად;

სკოლაში ტრადიციად იქცა უფროსკლასელებისა და ჩვენი კურსდამთავრებულების შეხვედრები ყოველი წლის დეკემბერში, სადაც უფროსები უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას და ხედვას სკოლის შემდგომი პერიოდის შესახებ უმცროს მეგობრებს.

მოსწავლეთა თვითმმართველი საბჭო და პარლამენტი

“ევროპულ სკოლაში” მიგვაჩნია, რომ მოსწავლეებს უნდა შევთავაზოთ მრავალფეროვანი საშუალებები სკოლის გარეთ, ცხოვრებაში სამომავლოდ საჭირო ლიდერული უნარ-ჩვევების განსავითარებლად. ვრცელია სია სკოლის აქტივობებისა, რომელიც ჩვენს მოსწავლეებს ლიდერის გამოცდილების მიღებაში ეხმარება, თუმცა ერთ-ერთ პირველ ადგილს იკავებს მოსწავლეთა პარლამენტი, რომელიც ხელს უწყობს სკოლის მიზნის აღსრულებას: მოსწავლეებმა სიამოვნება მიიღონ სასწავლო პროცესით, გამოიჩინონ შემოქმედებითობა, არშეუშინდნენ სიახლეებს, ისწავლონ პრობლემების გადაჭრა, დაკისრებული ვალდებულებების შესრულება და ა.შ.
პარლამენტარებისა და თავმჯდომარის არჩევა, დღის წესრიგის შემუშავება და სხდომების ჩატარება ეყრდნობა დემოკრატიულ პრინციპებს.
ევროპული სკოლის თვითმმართველი საბჭოს და პარლამენტის მიზანია:

- დარწმუნდეს, რომ სკოლაში მოსწავლეები თავს ბედნიერად გრძნობენ;
- დარწმუნდეს, რომ ყველა მოსწავლეს აქვს საშუალება, გამოთქვას თავისი აზრი და შენიშვნა;
- წაახალისოს მოსწავლეები იმ სფეროთა მოსაძიებლად, რომლებიც საჭიროებს გაუმჯობესებას და

იმავდროულად წარმოადგინონ გაუმჯობესების გზები;

- საფუძველი ჩაუყაროს პოზიტიურ ურთიერთობებს როგორც სკოლის შიგნით, ასევე მის ფარგლებს

გარეთ.

“ევროპული სკოლის” დაწყებით საფეხურზე მოსწავლეთა თვითმმართველი საბჭოა (III-V კლასები). პარლამენტი ორ პალატიანია. ზედა პალატას ეწოდება მოსწავლეთა პარლამენტი და მასში ერთიანდებიან მოსწავლეთა წარმომადგენლები IX-XII კლასებიდან, ხოლო ქვედა პალატა წარმოადგენს მოსწავლეთა კომიტეტს, რომელიც აერთიანებს მოსწავლეთა წარმომადგენლებს VI-VIII კლასებიდან. მოსწავლეთა პარლამენტის თავმჯდომარეს ერთიანი არჩევნების გზით ირჩევენ საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები VI-XII კლასებიდან, მოსწავლეთა პარლამენტის წევრების არჩევიდან (თითოეული კლასიდან აირჩევა ორი წარმომადგენელი) ოთხი კვირის შემდეგ.

კლასგარეშე აქტივობები

სასწავლო გარემოს გასაძლიერებლად და გასამდიდრებლად სკოლა სხვადასხვა კლასგარეშე აქტივობას სთავაზობს მოსწავლეებს.
ინდივიდუალური თუ ჯგუფური სპორტის სახეობები, ცეკვები, ხელოვნების, უცხოური ენების, რობოტიქსისა და პროგრამირების კლუბები და სექციები – ამ კლუბებში აქტივობები განსხვავებულია მოსწავლეთა ასაკის გათვალისწინებით და დამოკიდებულია მოზარდთა ინტერესზე. კლუბებს ხელმძღვანელობენ პროფესიონალი მწვრთნელები და პედაგოგები.

სკოლაში არის ორი სააქტო დარბაზი, საკონფერენციო აუდიტორიები, ორი დახურული სპორტული დარბაზი, ფეხბურთის და ჩოგბურთის ღია მოედნები.
არსებული ბაზა საშუალებას აძლევს მოსწავლეებს არჩევანი გააკეთონ სპორტის შემდეგ სახეობებზე: ფრენბურთი, კალათბურთი, ფეხბურთი, კარატე, ჩოგბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ჭადრაკი.
საკუთარი სასკოლო საკაბელო ტელევიზია (ESTV) აქტიურად არის ჩართული სასწავლო და აღმზრდელობით პროცესში.
ჩვენი მოსწავლეები სასწავლო წლის განმავლობაში აქტიურად მონაწილეობენ მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში. ჩართული არიან, როგორც სკოლის მიერ ორგანიზებულ, ასევე ,,წითელი ჯვრის“ მიერ ჩატარებულ საქველმოქმედო აქციებსა და მოძრაობებში.

მშობელთა და მასწავლებელთა ასოციაცია

მშობელთა და მასწავლებელთა ასოციაცია მოწოდებულია, გაამდიდროს მოსწავლეთა და მშობელთა გამოცდილება და ხელი შეუწყოს მათ კეთილდღეობას ,,ევროპულ სკოლაში“ ყოფნისას. მისი მთავარი ამოცანებია:

- წაახალისოს მშობელთა ჩართულობა სასკოლო ღონისძიებებში;
- გაამყაროს ურთიერთობა მშობლებს, მოსწავლეებს, მასწავლებლებს, თანამშრომლებსა და
დამფუძნებლებს შორის;
- ხელი შეუწყოს ინფორმაციის გაზიარებას მშობლებსა და სკოლის ადმინისტრაციას შორის.

მშობელთა და მასწავლებელთა ასოციაცია მონაწილეობს სხვადასხვა სოციალური, საქველმოქმედო ღონისძიების დაგეგმვაში, კოორდინირებასა და განხორციელებაში, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს სკოლის საზოგადოების ერთიანობის აღქმას და მოსწავლეებისთვის სასწავლო გამოცდილების შეძენის ახალი საშუალებების შეთავაზებას.

ასოციაციის შეხვედრები იმართება ყოველთვიურად, სადაც ნებისმიერი მშობლის დასწრება და სკოლის ცხოვრებას თან დაკავშირებულსა კითხებზე მასწავლებლებთან ერთად მსჯელობა წახალისებულია. “ევროპული სკოლის“ თითოეული მშობელი ავტომატურად ხდება ასოციაციის წევრი. მუშაობის ეფექტურად წარმართვისთვის ასოციაციას ჰყავს კომიტეტი, რომელშიც ყველა კლასიდან წარმომადგენელი არჩეულია ერთი წლის ვადით. ”ევროპულ სკოლაში” პროგრამების (ქართული, IB, AHS) მიხედვით ფუნქციონირებს სამი სხვადასხვა მშობელთა და მასწავლებელთა კომიტეტი. თითოეულს ჰყავს თავისი თავმჯდომარე - არჩეული წარმომადგენელი მშობელთაგან.

მშობელთა და მასწავლებელთა ასოციაციასთან თანამშრომლობის მრავალი გზა არსებობს. ჩვენ გახსნილები ვართ ახალი იდეების მისაღებად.
შემოგვიერთდით, გახდით ასოციაციის აქტიური წევრი!
დეტალური ინფორმაციისთვის მიმართეთ პროგრამის კოორდინატორებს.

სკოლის დაცვა და უსაფრთხოება

ბავშვების, თანამშრომლებისა და სტუმრების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ჩვენ გაგვაჩნია უსაფრთხოების შესაბამისი მექანიზმები და სისტემები:

დაცვის თანამშრომლები:
სკოლისა და მოსწავლეების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ჩვენ გვყავს კვალიფიციური დაცვის თანამშრომლები, რომლებიც მზად არიან, საჭირო დროს დაიცვან სკოლის უსაფრთხოება.
დაცვის თანამშრომლებს ეკისრებათ მოსწავლეების ზედამხედველობა და დაცვა, პასუხისმგებლობა სასკოლო ექსკურსიებზე, რეაგირება საგანგებო სიტუაციის დროს
დაცვის თანამშრომლებმა იციან, როგორ უნდა მოიქცნენ საგანგებო სიტუაციის დროს, მათ ეკისრება სახანძრო და სამედიცინო სამსახურებთან დაკავშირების პასუხისმგებლობა საგანგებო სიტუაციის შექმნის შემთხვევაში.

დაშვების კონტროლის სისტემა/Access Control System (ACS)
დაშვების კონტროლის სისტემა (ACS) იცავს სკოლის შემოსასვლელებს გარეშე პირებისაგან. სისტემა მოიცავს სხვადასხვა ელემენტს, მათ შორის: ტურნიკეტი, ელექტრონული საშვები, ვიდეომონიტორინგი.
ვიზიტორთა მენეჯმენტის სისტემა გარეშე პირების სკოლის ტერიტორიაზე შესვლის პრევენციის საშუალებას იძლევა.

სათვალთვალო სისტემა/CCTV Monitoring –(Closed Circuit Television)

სკოლის უსაფრთხოების სისტემის მნიშვნელოვან რესურსს წარმოადგენს. ვიდეოკამერები აკონტროლებენ სკოლის საერთო არეალს, ლაბორატორიებს, დერეფნებს, გასახდელების მიმდებარე ტერიტორიას, კიბეებსა და კაფეტერიებს. გარე კამერები აკონტროლებენ შენობის მთელ პერიმეტრს, ღობეებს, ჭიშკრებსა და ავტოსადგომს. სათვალთვალო სისტემის მეშვეობით უსაფრთხოების თანამშრომლებს შეუძლიათ, მომენტალურად დააფიქსირონ საეჭვო სიტუაცია.

სახანძრო სისტემა
სკოლის ტერიტორიაზე მყოფი ადამიანების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სკოლაში დაინსტალირებულია სახანძრო სისტემა. აღნიშნული სისტემა ინტეგრირებულია ყველა საკლასო ოთახში, კაბინეტსა თუ ლაბორატორიაში. საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში გათვალისწინებული პროცედურების შესასწავლად სკოლაში ტარდება წვრთნები და ტრენინგები. თანამშრომლებს მიეწოდებათ ინფორმაცია, თუ სად არის დამონტაჟებული ხანძარსაწინააღმდეგო შადრევნები (ე.წ. sprinklers), რათა შეძლონ დაუყოვნებლივი რეაგირება. ჩვენი სისტემებისა და თანამშრომლების სრული მზადყოფნისთვის ყოველწლიურად ტარდება წვრთნები და ვარჯიშები, გარდა ამისა,
სკოლის ყველა გასასვლელი არის მკაფიოდ გამოყოფილი და აღქმადი, რაც უზრუნველყოფს საჭიროების შემთხვევაში შენობიდან დროულად და უსაფრთხოდ გაღწევას.
თუ სად არის დამონტაჟებული ხანძარსაწინააღმდეგო შადრევნები (ე.წ. sprinklers), რათა შეძლონ დაუყოვნებლივი რეაგირება. ჩვენი სისტემებისა და თანამშრომლების სრული მზადყოფნისთვის ყოველწლიურად ტარდება წვრთნები და ვარჯიშები, გარდა ამისა, სკოლის ყველა გასასვლელი არის მკაფიოდ გამოყოფილი და აღქმადი, რაც უზრუნველყოფს საჭიროების შემთხვევაში შენობიდან

დროულად და უსაფრთხოდ გაღწევას.

ადმინისტრაციულ – მმართველობითი პერსონალი

სოფიო ბაზაძე

სკოლის დირექტორი

თამარ არაბიძე
ადმინისტრაციული მენეჯერი

ხათუნა ბარაბაძე
ქართული პროგრამის ხელმძღვანელი

თამთა გოგიჩაშვილი
დაწყებითი საფეხურის (I-V კლასები) კოორდინატორი

მარინა მელიქიძე-ბექაური
საბაზო საფეხურის (VI-VIII კლასები) კოორდინატორი

მაია მელიქიშვილი
საშუალო საფეხურის (IX-XII კლასები) კოორდინატორი

მაკა მელიქიძე
მოსწავლეთა მხარდაჭერის ცენტრის მენეჯერი

საკონტაქტო ინფორმაცია

შპს „ევროპული სკოლა“

მისამართი:

შენობა A - ი.სხირტლაძის #2

შენობა B - კ.ქუთათელაძის #10ა
შენობა C - ალ.ყაზბეგის გამზ. #47,

ტელ.:(+995 32)2 39 59 64 / 2 14 15 16

ვებ–გვერდი: www.europeanschool.ge

ელ.ფოსტა: admissions@europeanschool.ge

Facebook: www.facebook.com/ESintSchool/